

**ზეპირი საკომუნიკაციო უნარების განვითრებასთან
დაკავშირებული სირთულეები ინგლისურ ენაში
საბაზო საფეხურზე**

(პედაგოგიური პრაქტიკის კვლევა)

შორენა მერაბიშვილი

იტალიური სკოლა „ცისკარი“

თბილისი

2019

სარჩევი

შესავალი -----	3
თავი 1 - საკვლევი თავის მიმოხილვა	
1.1 სამეტყველო უნარის განვითარებასთან დაკავშირებული პრობლემები-----	4
1.2 კვლევის აქტუალობა-----	4
1.3 პრობლემის გამომწვევი მიზეზები -----	4
1.4 კვლევის მიზეზი და ამოცანა-----	5
თავი II - მეცნიერული ლიტერატურის მიმოხილვა	
2.1. პოპულარული მოსაზრებები და კომენტარები ენის შესწავლის შესახებ-----	6
2.2 ზეპირმეტყველების განმავითარებელი სტრატეგიები საბაზო საფეხურზე-----	10
თავი III - მეთოდოლოგია	
3.1 კვლევის გეგმა-----	13
3.2 მონაცემის შეგროვება -ანალიზი-----	13
3.3 პროექტის ვადები-----	16
თავი - IV- კვლევის შედეგები	
4,1 დავალებების შედეგების ანალიზი-----	17
4.2 კითხვარების შედეგების ანალიზი-----	17
თავი V -ინტერვენციის აღწერა და მისი შედეგები	
5.1 ინტერვენციები (I, II, III)-----	18
5,2 ინტერვენციები და მათი შედეგები-----	20
5.3 ინტერვენციის შეფასება-----	21
დასკვნა -----	22
დანართები:	
დანართი1.....	23
დანართი2.....	23
დანართი3.....	24
დანართი4.....	24
დანართი5.....	25
დანართი6.....	25
გამოყენებული ლიტერატურა	26

წინამდებარე ნაშრომი წარმოადგენს ქალაქ თბილისის კერძო იტალიურ სკოლა „ცისკარში“ განხორციელებული პრაქტიკული კვლევის ანგარიშს.

ნაშრომი შედგება VI თავისაგან. I თავში მოცემულია საკვლევი საკითხის მიმოხილვა, მისი აქტუალობა, კვლევის მიზანი და ამოცანები.

II თავში მოცემულია სხვადასხვა ავტორის მოსაზრებები ზეპირმეტყველების უნარის გამომუშავების მეთოდების შესახებ.

III თავი მოიცავს ინფორმაციას კვლევის მეთოდოლოგიისა და პროექტის ვადების შესახებ.

IV თავი ეხება კვლევის საფუძველზე მიღებული შედეგების ანალიზს.

V თავში განხილულია ინტერვენციის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების ეტაპები.

შესავალი

ინფორმაცია, კომუნიკაცია და კომუნიკაციური ტექნოლოგიები უაღრესად მნიშვნელოვანია თანამედროვე ეპოქაში. კომუნიკაციის პრინციპები და მეცნიერული ამოცანები ლინგვისტიკასა და ენათა სფეროში გამოჩნდა და შეცვალა ტრადიციული ენათმეცნიერების მიდგომები. დღეს ენის სწავლება მხოლოდ გრამატიკული წესების დაზეპირებით შეუძლებელია, რადგან დამკვიდრდა ახალი მიდგომა - კომუნიკაციური ლინგვისტიკა.

კომუნიკაციის სახეობებს შორის არსებითი ადგილი დაიკავა ვერბალური სიტყვებით გამოხატულმა კომუნიკაციამ, ქართული განათლების სისტემის ევროპული საგანმანათლებლო სივრცეში ინტეგრირების პროცესში უფრო საგრძნობი გახდა კომუნიკაციის კომპეტენცია, რაც იმას მოწმობს, რომ ვერც ერთი სფერო კომუნიკაციის გარეშე წარმატებას ვერ მიაღწევს.

ამასთანავე, საქართველო ენობრივად და კულტურულად მრავალფეროვან სივრცეში შევიდა. უცხოური ენის, განსაკუთრებით ინგლისური ენის გარეშე წარმოდგენელია ამ სივრცეში ინტეგრირება და საკუთარი პიროვნული შესაძლებლობების რეალიზება. ინგლისური ენა, როგორც ეროვნული სასწავლო გეგმის განუყოფელი ნაწილი, სასკოლო განათლების მთავარი სახელმწიფო მიზნის განხორციელებას ემსახურება. ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის ეროვნული სასწავლო გეგმა ორი ან სამი უცხოური ენის სწავლებას ითვალისწინებს. ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, უცხოური ენების სწავლება ისახავს პრაქტიკულ მიზანს. კერძოდ, გულისხმობს სწავლების მთელი პროცესის კომუნიკაციურ მიმართულებას. მოსწავლეს უნდა მიეცეთ ისეთი ცოდნა, რომ მან შეძლოს უცხოურ ენაზე მეტყველება, წარმატებული კომუნიკაცია სხვა კულტურის წარმომადგენლებთან, ენის ფლობის დამოუკიდებლად გაღრმავება და გამდიდრება. ყოველივე ამის გათვალისწინებით, ჩემს წინაშე გამოიკვეთა შემდეგი საკვლევი პრობლემა: ჩემს კვლევაში მეტყველების უნარ-ჩვევის დაუფლებას პრიორიტეტული მნიშვნელობა ენიჭება, რადგან ეს უნარი აუცილებელია სწორი წარმოთქმის ჩამოსაყალიბებლად, რაც წარმატებული ინტერაქციის საფუძველს წარმოადგენს.

ზოგადად, რთული პროცესია უცხო ენის და, კერძოდ, ზეპირი კომუნიკაციის სწავლა/სწავლება. პირადად გამოცდილებამ და ზოგადად სასწავლო პროცესზე დაკვირვებამ განაპირობა ის, რომ საკვლევ თემად ავირჩიე სამეტყველო უნარ-ჩვევის განვითარება სწავლების საბაზო საფეხურზე.

წინამდებარე ნაშრომი არის პრაქტიკული კვლევის ანგარიში. ნაშრომში განხილულია იტალიური სკოლის საბაზო საფეხურზე,კ ერძოდ VII კლასში, ინგლისურ ენაში მოსწავლეთა ზეპირ მეტყველებასთან დაკავშირებული პრობლემები და ამ პრობლემების გადასაჭრელად დაგეგმილი და განხორციელებული ცვლილებები.

თავი I

1.1 სამეტყველო უნარის განვითარებასთან დაკავშირებული პრობლემები

ცნობილია, რომ მოსწავლეთა დიდ ნაწილს უჭირს არა თუ თავისუფლად მეტყველება ინგლისურ ენაზე, არამედ მიმდინარე დიალოგებში ჩართვაც კი. ზეპირმეტყველების (სასაუბრო) უნარის განვითარება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია ინგლისურიენის სწავლების პროცესში, ვინაიდან ის კომუნიკაციის ძირითადი წყაროა. ამ უნარს განვითარება ამავედროულად პრობლემურიცაა, რამდენადაც შესაფერისი აქტივობების დაგეგმვის გარდა, ამ შემთხვევაში გასათვალისწინებელია მოსწავლეების სოციალური უნარებიც, როგორცაა თავდაჯერებულობა, თვითშეფასება, მოტივაცია. ზეპირმეტყველების უნარისგანვითარებას ახლავს უამრავი ხელის შემშლელი ფაქტორი, მაგ: შიში ან სიმორცხვე, რაცშესაძლებელია გამოწვეული იყო როგორც სასაუბრო თემის ირგვლივ შესაფერისი ლექსიკურიან გრამატიკული ერთეულების სტრუქტურების არცოდნით, ასევე შეცდომის დაშვებისშიშით. ამიტომ მასწავლებელმა ზეპირმეტყველების აქტივობების შერჩევისას უნდაგაითვალისწინოს მოსწავლეების სოციალური და ემოციური განვითარების დონე. საინტერესოდა, სახალისო აქტივობების გარდა, მოსწავლეებისთვის აუცილებელია ჯანსაღი გარემოს შექმნა,სადაც მოსწავლე იგრძნობს მასწავლებლის კეთილგანწყობას და მხარდაჭერას და არ ექნება შეცდომის დაშვების შიში.

1.2 კვლევის აქტუალობა

კვლევის აქტუალობა საქართველოსი მიმდინარე განათლების რეფორმას ეხმიანება. საჯარო თუ კერძო სკოლებში ინგლისური ენის სწავლებას დიდი ყურადღება ექცევა და სახელმწიფო დონეზე პრიორიტეტი ამიტომ სკოლას ეკისრება დიდი ვალდებულება დააკმაყოფილოს თანმედროვე მოთხოვნები და გამოზარდონ ისეთი თაოვები, რომლებიც თავისუფლად და ეფექტურად შეძლებენ კომუნიკაციას ნებისმიერ გარემოში ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევის მიზანი განპირობებული შემდეგი ფაქტორებით:

1. მეცნიერული, კულტურული ურთიერთობების, ბიზნესის სფეროს გაფართოებით, რაც ითხოვს ინგლისური ენის სწავლების დონის ამაღლებას სკოლაში;
2. ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის ყველა საფეხურზე ინგლისურ ენაზე კომუნიკაციის დაუფლების საჭიროებით, სამეტყველო აქტივობების (ლაპარაკისა და მოსმენის) მნიშვნელობის გაზრდით;
3. გარკვეული მიღწევების მიუხედავად, ლაპარაკის უნარ-ჩვევების განვითარების ჯერ კიდევ არასაკმარისი დონით.

4. სწავლების საბაზო საფეხურზე ლაპარაკის, როგორც სწავლების სასიცოცხლო სტრატეგიის გაღრმავების აუცილებლობით;

ჩემი კვლევის ობიექტია ინგლისურ ენაზე ზეპირი მეტყველების სწავლების პროცესი ქ.თბილისის კერძო სკოლი, კერძოდ, იტალიური სკოლის საბაზო საფეხურზე, კერძოდ, VII კლასში, მისი ეფექტურობის გაზრდის მიზნით.

მიუხედავად იმისა, რომ VII კლასის მოსწავლეთა მნიშვნელოვან ნაწილს აქვს მაღალი პასუხისმგებლობა, გააჩნიათ შესაბამისი ლექსიკური მარაგი, ფლობენ ამ საფეხურისთვის შესაბამის გრამატიკულ კონსტრუქციებს და მეტნაკლებად გამომუშავებული აქვთ დიალოგური მეტყველების უნარ-ჩვევები, რეალურ საკომუნიკაციო სიტუაციებში მოხვედრისას, მოსწავლეები დაზეპირებული წინადადებების გამოყენებას ყოველთვის ვერ ახერხებენ, ზეპირი მეტყველების დროს მათი ყურადღება მიპყრობილია სწორი წარმოთქმების გამოყენებაზე და გრამატიკული შეცდომების აღმოფხვრაზე. ამიტომ, თავისუფალი მეტყველების უნარი კლასში კვლავ პრობლემატურია.

1.3 კვლევის გამომწვევი მიზეზები და ამოცანები

ინტერვენციის დაგეგმვამდე საჭირო იყო ჩამომეყალიბებინა პრობლემის გამომწვევი სავარაუდო მიზეზები. ინგლისური ენის კათედრის წევრებთან გასაუბრების საფუძველზე დადგინდა, რომ მიუხედავად იმისა, რომ ინგლისური ენა ისწავლება პირველი კლასიდან, კათედრაზე მაინცაა პრობლემა. რაც სავარაუდოდ პრობლემის გამომწვევი ფაქტორები შესაძლოა სხვადასხვაგვარი იყოს:

- ✓ არაუცხოენოვანი გარემო
- ✓ არასაკმარისად განვითარებული მოსმენის უნარი
- ✓ ლექსიკის სიმწირე
- ✓ ლაპარაკის შიში (შფოთვა)
- ✓ მოსწავლეთა დაბალი მოტივაცია
- ✓ საათების არასაკმარისი რაოდენობა

1.4 კვლევის მიზანი და ამოცანა

ამ კვლევის მიზანია ინგლისურ ენაში სამეტყველო უნარის სირთულეების დაძლევის გზების ძიება და მოსწავლეთა სამეტყველო უნარ-ჩვევის გაუმჯობესება.

ჩემი კვლევის მიზანია VII კლასში ინგლისურ ენაში ზეპირმეტყველების განმტკიცების ისეთი გზების, ხერხებისა და სტრატეგიების ძიება, რომლებიც ეფექტურსა და საინტერესოს გახდის უცხოურ ენაზე ზეპირმეტყველებას და საშუალებას მისცემს მოსწავლეს, ეფექტურად გამოიყენოს ენა კომუნიკაციისათვის.

ვფიქრობ, ჩემს მიერ გამოკვლეული საკითხის შედეგები ხელს შეუწყობს მოსწავლეთა ზეპირი მეტყველების უნარის განვითარებას, რაც შესაბამისად გაზრდის მათ მოტივაციას; აგრეთვე ჩემი რეკომენდაციები უცხოური ენების კათედრის წევრებს დაეხმარება ანალოგიური სირთულეებ ისდამღევაში, რაც რეალურად გააუმჯობესებს სწავლა - სწავლების ხარისხს.

კვლევის საერთო მიზნიდან გამომდინარე, ნაშრომში ეტაპობრივადაა გადაჭრილი შემდეგი ამოცანები:

1. მეთოდური ასპექტით – ინგლისურ ენაზე ზეპირმეტყველების სწავლების ეფექტური მეთოდებისა და სტრატეგიების შერჩევა.
2. ფსიქოლოგიური ასპექტით – ზეპირმეტყველებასთან დაკავშირებული თავისებურებების გათვალისწინება მათი სწავლების პროცესში; სწავლის მოტივაციის გაზრდა;

კვლევის ამოცანაა პასუხი გასცეს შემდეგ კითხვებს:

1. რა სირთულეებთან არის დაკავშირებული ზეპირი მეტყველება და რა პრობლემებს წარმოქმნის ის საგაკვეთილო პროცესში?
2. რამდენად უზრუნველყოფს ამ უნარის განვითარება მოსწავლეთა მოტივაციისა და სწავლა–სწავლების ხარისხის ამაღლებას?
3. რა ღირებულება აქვს აღნიშნულ საკითხს კათედრის წევრებისთვის?
4. რის მიღწევას ახერხებენ ისინი საკვლევ საკითხთან დაკავშირებით ამ ეტაპზე?
5. იცვლება თუ არა რაიმე, თუკი პედაგოგები ჩემს რეკომენდაციებს გაითვალისწინებენ?

თავი II- მეცნიერული ლიტერატურის მიმოხილვა

2.1. პოპულარული მოსაზრებები და კომენტარები ენის შესწავლის შესახებ

ადამიანების მიერ უცხო ენის შესწავლის სისტემური კვლევა მხოლოდ მე-20 საუკუნის მეორე ნახევარში განხორციელდა. ეს შემთხვევითი არ არის, ვინაიდან სწორედ აღნიშნულ პერიოდში ჩაეყარა საფუძველი ინტერნეტს და ადამიანებს შორის კომუნიკაცია საზღვრებს საკმაოდ გასცდა. უცხო ენის შესწავლა აუცილებელი გახდა, რადგან იგი უკეთესი განათლების მიღებისა და დასაქმებისათვის გადამწყვეტ როლს ასრულებდა. უცხო ენის შესწავლა საკმაოდ შრომატევადი, რთული, დატვირთული და ხანგრძლივი პროცესია. მასზე მოქმედებს სხვადასხვა შიდა თუ გარე ფაქტორები. გარდა ამისა, ყველა ადამიანს ერთნაირად არ შეუძლია შეისწავლოს უცხო ენა მისი შესწავლის უნარიდან გამომდინარე. ეს კი ზეგავლენას ახდენს მის პროგრესსა და საბოლოო შედეგზე. ამერიკელი ფსიქოლოგისა და ლინგვისტის ჯონ კაროლის (1916-2003) მიერ შესრულებული სამუშაოს შედეგად გამოიკვეთა უცხო ენის შესწავლის უნარის სხვადასხვა კომპონენტები, როგორცაა, უცხო ენის ბგერების ამოცნობა ისე, რომ მათი ადვილად დამახსოვრება იყოს საჭირო, წინადადებაში სიტყვების გრამატიკული ფუნქციის ამოცნობა, მაგ: ქვემდებარე და შემასმენელი, ფორმასა და 48 მნიშვნელობას შორის ურთიერთკავშირი, სიტყვების სხვადასხვა მნიშვნელობის განსხვავება. კვლევის შედეგად ასევე დადასტურებულია, რომ უცხო ენის შესწავლის უნარსა და მის წარმატებით შესწავლას შორის მჭიდრო კავშირია. დიდი მნიშვნელობა აქვს თუ რამდენად მოტივირებულია ადამიანი შეისწავლოს უცხო ენა.

ინსტრუმენტული მოტივაციის (უცხო ენის შესწავლა რაიმე კონკრეტული მიზნის მისაღწევად) დროს შემსწავლელი უცხო ენას სწავლობს რაიმე ფუნქციური მიზეზით – ჩააბაროს გამოცდა, იმოგოს უკეთესი სამსახური ან მოეწყოს უნივერსიტეტში. ზოგიერთი ტიპის სასწავლო დაწესებულებაში, ინსტრუმენტული მოტივაცია უცხო ენის შესწავლის წარმატების გადამწყვეტი ფაქტორია, რადგან შემსწავლელი მას სწავლობს საგანმანათლებლო და ეკონომიკური შესაძლებლობების გამო. ზოგიერთ შემთხვევაში, ენის შესწავლის სურვილი განპირობებულია ქვეყნის კულტურითა და ხალხით დაინტერესებით. ასეთ დროს, შემსწავლელს მიაჩნია, რომ თუ იგი შეისწავლის იმ ქვეყნის ენას, რომლის შესახებაც სურს მოიპოვოს მნიშვნელოვანი ინფორმაცია, იგი ამას უფრო ეფექტურად შეძლებს. ინგლისურიენის სრულყოფილად დაუფლება მრავალმხრივი პროცესია და დიდ ძალისხმევას მოითხოვს როგორც ენის შემსწავლელის, ისე მასწავლებლისაგან.

უცხო ენების სწავლების მისაღწევ მიზანს სწავლების საბაზო საფეხურზე წარმოადგენს ენის პრაქტიკული გამოყენების სწავლება ანუ, პრაქტიკულად, მოსწავლეებში კომუნიკაციური უნარების გამოუმუშავება. ფსიქოლოგების (გალპერინი, ვიგოტსკი)გამოკვლევების თანახმად ენა

აღქმულ იქნა, როგორც «მოღვაწეობა», რომელიც, თავის მხრივ,გარკვეული ოპერაციებისგან შედგება. ენის ასეთი ხედვა მკვეთრად უპირისპირდება ბიჰევიორიზმს(რომელიც ენის შესწავლას განიხილავს,როგორცქვევას), იმდენად რამდენადაც ინდივიდი აღქმულ იქნა როგორც ენობრივი ქმედების შედეგად სამყაროს «კონსტრუირების»აქტიური წევრი.

სხვადასხვა დროს ინგლისურ ენის გაკვეთილს სხვადასხვა მიზანი და სხვადასხვა შინაარსი ჰქონდა და, აქედან გამომდინარე, სასწავლო პროცესის ორგანიზებაც სხვადასხვანაირადხდებოდა. თუ დაახლოებით ერთი საუკუნის წინ უცხოური ენის გაკვეთილის მიზანსგრამატიკული წესებისა და კლასიკური ნაწარმოებების დაზუთხვა და მათი თარგმნაწარმოადგენდა , დღეს მნიშვნელოვანია შესასწავლ ენაზე კომუნიკაცია და შესასწავლი ქვეყნისკულტურის სწორად აღქმა და დაფასება. ტრადიციული გაკვეთილისგან განსხვავებით დღეს მასწავლებელი გაკვეთილზე დომინანტის როლში კი არ არის, არამედ მოსწავლისდამხმარეა და საგაკვეთილო პროცესის ფასილიტატორია.

1. თანამედროვე სასწავლო პროცესი ორიენტირებული უნდა იყოს ისეთ შინაარსზე, რომელიცმო სწავლეებისთვის რაიმე ღირებულებას წარმოადგენს, მათ ინტერესს აღვივებს, ეხმარება მათუცხო სამყაროს შემეცნებასა და გარკვევაში და იმავდროულად ახალი პერსპექტივიდან საკუთარი სამყაროს ახლებულ გააზრებას უწყობს ხელს.

2.საჭიროა ენის შემსწავლელთა აქტივირება. ენის შემსწავლელი უნდა აღქმულ იქნას როგორცთან ასწორუფლებიანი და აქტიური პარტნიორი. თავისუფალი მეტყველების უნარ_ჩვევისგანვითარება ამზადებს მოსწავლეებს არა მხოლოდ კომუნიკაციისთვის რეალურ სიტუაციაში,არამედ გაკვეთილის ფარგლებში მიმდინარე ინტერაქციისთვის,

3. უცხო სამყარო კლასში «იქმნება» მხოლოდ გაკვეთილის დროს. ამიტომ აუცილებელიატექნიკური საშუალებების (მედიების) გამოყენება მეცადინეობის პროცესში.

. ლაპარაკის უნარის განვითარება უნდა მიმდინარეობდეს არა გამეორებისა და იმიტაციისგზით, არამედ გააზრების პროცესზე დაყრდნობით. (ანუ აუცილებელია ენობრივი მოღვაწეობაზე გადასვლა)

4. აუცილებელია ყოველდღიური მეტყველების გათვალისწინება (დიალოგები) მეცადინეობის ფარგლებში, რადგან უკანსკნელ დროს, სულ უფრო მეტი დრო ეთმობა წერითი მეტყველების და კითხვის კომუნიკაციური კომპეტენციის განვითარებას.

• სწავლების განსხვავებული სოციალური ფორმები, რომელთა მიზანია ინტერაქციის ხელშეწყობა (მუშაობა წყვილებსა და ჯგუფებში)

5. წინასამეტყველო სავარჯიშოების ტიპების მრავალფეროვნება (Roche, 2001; 111)

6. უცხო ენაზე ლაპარაკის უნარი უნდა აიგოს არა დიალოგიზირების უნარზე, არამედ თემაზე ლაპარაკის (თუნდაც დისკუსიის) სახით.

დისკუსია მოსწავლეთა «დემოკრატიულ აღზრდას» უწყობს ხელს. დისკუსიასა და დებატებში მონაწილეობის სწავლება უნდა მიმდინარეობდეს ზეპირმეტყველების (ლაპარაკის Speaking) უნარის განვითარების ფარგლებში, რაც ხელს შეუწყობს სკოლის ზოგადი მიზნის განხორციელებას ალიზარდოს დამოუკიდებლად მოაზროვნე, გაბედულგაწონასწორებული მოქალაქე.

ბანალურია, მაგრამ უცხო ენაზე ლაპარაკის სწავლა შესაძლებელია მხოლოდ უცხო ენაზე ლაპარაკით. თუ მეცადინეობის მიზანი მეტყველების უნარის განვითარებაა, მაშინ მოსწავლეს უნდა ჰქონდეს საშუალება, ილაპარაკოს უცხო ენაზე. «ენის როგორც კომუნიკაციური ქმედების სწავლება ბევრად უფრო ეფექტურია «კომუნიკაციური» ან «ინტერაქტიური» გაკვეთილის დროს, რომელიც ჯგუფის რეალური სიტუაციიდან გამომდინარე იძლევა ავთენტიკური მეტყველების საშუალებას და რომელშიც მოსწავლეები საკუთარი თავს როგორც მთელპიროვნებას აქსოვენ» (Esselborn, 1988, 390)

ნიჭიერი ადამიანები ენის საუკეთესო შემსწავლელები არიან: მართალია ნიჭი და ენის შესწავლისადმი მიდრეკილება დიდ როლს თამაშობს, მაინც უფრო მნიშვნელოვანია თითოეული შემსწავლელისადმი შესაბამისი მეთოდის შერჩევა მოტივაცია მნიშვნელოვნად განაპირობებს პროგრესს: მიუხედავად იმისა, რომ შემსწავლელი, რომელსაც უნდა ისწავლოს, უკეთესად სწავლობს, ვიდრე ის, ვინც საერთოდ არ არის მოტივირებული, მასწავლებელმა მაინც უნდა შექმნას სწავლისათვის ხელსაყრელი გარემო, რაც გულისხმობს შემსწავლელთა აქტივობებში ჩართულობას, მათი კულტურული განსხვავებების გათვალისწინებას, სწავლისათვის სასიამოვნო გარემოს შექმნას რაც უფრო ადრე დაეუწყებთ ბავშვს ენის სწავლებას, მით უფრო წარმატებით ისწავლის იგი: ეს დამოკიდებულია მიზნებსა და ბავშვის ათვისების უნარზე შემსწავლელთა მიერ დაშვებული შეცდომების უმეტესობა გამომდინარეობს დედაენის ზეგავლენისაგან: აღსანიშნავია, რომ უცხო ენის შესწავლაზე ერთი ან მეტი ენის ფლობა დადებით ზეგავლენას ახდენს. თუ ენები ერთსად მიმავე ჯგუფს განეკუთვნებიან (მაგ: ინდო-ევროპული, სლავური), შემსწავლელს მეორე ენის ათვისება უადვილდება. მეორეს მხრივ, დედა ენაში არსებული სტრუქტურების გადმოტანა უცხო ენაში შეცდომების დაშვების ძირითადი წყაროა და სწორედ ასეთი შეცდომების აღმოფხვრა ძნელი ახალი სიტყვების შესწავლის საუკეთესო გზაა კითხვა: აღნიშნული მოსაზრება საკმაოდ სწორია, მაგრამ, ასევე გასათვალისწინებელია ისიც, რომ ყველა შემსწავლელი არ კითხულობს დიდი რაოდენობით თუ შემსწავლელმა იცის ათასამდე სიტყვა და ფლობს უცხო ენის ძირითად სტრუქტურებს, იგი ადვილად მიიღებს მონაწილეობას საუბარში იმ უცხოელებთან, ვისთვისაც იგი დედა ენაა: თუ შემსწავლელს გარკვეული სახის ლექსიკური და გრამატიკული ბაზა გააჩნია, მას უადვილდება გაგება და გაგებინება მასწავლებელმა გრამატიკული წესები თანდათან უნდა ასწავლოს, შემსწავლელმა კი ისინი პრაქტიკული სავარჯიშოების კეთებით უნდა გაიგოს: უცხო ენის შესწავლის პროცესში არსებობს ეტაპები, როდესაც ერთი ფორმა შესაძლოა აბსოლუტურად

სწორად იქნეს გამოყენებული, რაც მიგვანიშნებს იმაზე, რომ შემსწავლელს იგი კარგად ესმის, ხოლო სხვა დროს საერთოდ ვერ გამოიყენოს, რადგან მას ეს ფორმა ერევა მის საკუთარ ენაში არსებულთან. ენის შესწავლა ახალი ენობრივი ფორმებისა და სტრუქტურების არსებულთან ინტეგრირებისა და შერწყმის პროცესია, რის შედეგადაც ხდება მათი მოდიფიცირება და ცვლა მანამ, სანამ ყველაფერი ერთ საბოლოო დახვეწილ ფორმას არ მიაღწევს. უცხო ენის შესწავლის მეთოდი გრამატიკული წესების ანალიზისა და გამოყენების მეშვეობით ემყარება იმ მცდარ ვარაუდს, რომ უცხო ენის განვითარება წესების დაგროვებას გულისხმობს. ამის დანახვა კარგად შეიძლება სახელმძღვანელოებში, რომლებშიც ერთი სახის ენობრივი მასალა მოცემულია პირველ გაკვეთილზე და რამდენიმე მომდევნო მეცადინეობაზე ხდება მისი განმტკიცება, რის შემდეგაც ხდება გადასვლა ახალ მასალაზე. ერთი სტრუქტურის იზოლირებული და თანდათანობითი შემოყვანა და ვარჯიში არ აძლევს შემსწავლელს შესაძლებლობას აღმოაჩინოს, თუ როგორია სხვადასხვა ენობრივი თვისებები ენის ჩვეულებრივი გამოყენებისას. აქვე, საგულისხმოა ისიც, რომ თუ თავიდან ნასწავლ მასალას არ განვამტკიცებთ და გავიმეორებთ შემდგომ, იგი მალე დაგვაიწყდება რთულ ენობრივ სტრუქტურებამდე უნდა ისწავლებოდეს მარტივი: კვლევებმა გვიჩვენა, რომ არ აქვს მნიშვნელობა იმას, თუ როგორ და რა თანმიმდევრობით ვასწავლით ენას. შემსწავლელი გარკვეულ სტრუქტურებს სხვებზე ადრე ითვისებს. ეს იმას ნიშნავს, რომ არ არის მიზანშეწონილი შემსწავლელთა შეზღუდვა მარტივი ფორმებისა და სტრუქტურების გამოყენებაში შემსწავლელის მიერ დაშვებული შეცდომები დაუყოვნებლივ უნდა გავასწოროთ მაგნი ჩვევის თავიდან აცილების მიზნით: შეცდომების დაშვება უცხო ენის შესწავლის პროცესის აუცილებელი კომპონენტია და მიგვითითებს იმაზე, რომ შემსწავლელის ცოდნა ვითარდება. მასწავლებლის მოვალეობაა მაქსიმალურად დაეხმაროს მას ენის შესწავლის პროცესში. ეს კი მოიცავს ენის სწორი ფორმების მიწოდებას და დაშვებული შეცდომების ანალიზს. როდესაც შემსწავლელი გამუდმებით უშვებს შეცდომებს, განსაკუთრებით კი მაშინ, როცა ჯგუფში ყველა ასე იქცევა, მასწავლებელმა ამას ყურადღება უნდა მიაქციოს. ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ შემსწავლელმა სწორი ფორმები უცებ უნდა შეისწავლოს. აქ მნიშვნელოვანია იმ ფაქტორის გათვალისწინება, რომ მრავალჯერ შესწორებით საბოლოო ჯამში ხდება სწორი ფორმების დამახსოვრება. შეცდომების ზედმეტად ხშირად გასწორება უარყოფითად მოქმედებს მოტივაციაზე, ვინაიდან შემსწავლელი კარგავს სურვილს გააგრძელოს სწავლა და მიაჩნია, რომ იგი ვერასდროს ისწავლის სწორად საუბარს. ამდენად, საჭიროა დაკვირვება, შემსწავლელთა ტიპების გათვალისწინება და ყურადღების მიქცევა იმაზე, თუ რა დამოკიდებულება აქვთ მათ ერთმანეთთან და მასწავლებელთან. ზეპირი კომუნიკაციის ვარჯიშის დროს ზედმეტად შესწორება და გამუდმებით შეწყვეტინება იწვევს გარკვეულ შემსწავლელთა დაკომპლექსებას, ხოლო სხვების, პირიქით, გამოცოცხლებას. მასწავლებელმა კლასში მხოლოდ ის მასალა უნდა გამოიყენოს, რომელიც ნასწავლს კიდევ უფრო განამტკიცებს: რა თქმა უნდა, ასეთი მიდგომა არ არის ცუდი, მაგრამ მხოლოდ ნასწავლი ენობრივი სტრუქტურების გამოყენება არცთუ ისე მიზანშეწონილია. თუ შემსწავლელს საკმარისად არ დავაინტერესებთ, მისი მოტივაცია იკლებს და, შესაბამისად, იგი არ სწავლობს ხარისხიანად. მასწავლებელმა მას ასევე უნდა ასწავლოს ის სტრატეგიები, რომლებიც დაეხმარება საკლასო გარემოს გარეთ დამოუკიდებლად შეძლოს უცხო ენაზე კომუნიკაცია. როდესაც შემსწავლელს საშუალებას ვაძლევთ თავისუფლად ისაუბროს ერთმანეთში წყვილებსა თუ ჯგუფებში, ისინი ერთმანეთის შეცდომებს იმეორებენ. თუ აქტივობები კარგად არის შედგენილი და შემსწავლელი წყვილებში თუ ჯგუფებში შესაბამისად არიან გადანაწილებულნი, ისინი ენას უკეთესად სწავლობენ. კვლევის თანახმად, შემსწავლელი არ უშვებს შეცდომას, როცა ესაუბრება მისივე დონის სხვა შემსწავლელს. ენის ბუნებრივად მატარებელთან ან უცხო ენის უფრო მაღალი დონის შემსწავლელთან საუბრისას შეცდომების დაშვება უფრო ხშირია. ამდენად, საჭიროა ენობრივი ამოცანების ისეთნაირად

შედგენა და მომზადება, რომ შემსწავლელმა შეძლოს მნიშვნელობის გაგება და იმახალი ენობრივი საშუალებების ათვისება, რომლებიც სჭირდება ამოცანის შესასრულებლად. წყვილებში და ჯგუფურად მუშაობა ენობრივი უნარის განვითარების მნიშვნელოვანი საშუალებაა. იგი ენის შემსწავლელს წარმატებულს და მეტად თავდაჯერებულს ხდის შემსწავლელი სწავლობს იმას, რასაც მას ასწავლიან. მასწავლებელმა კარგად იცის საკუთარი გამოცდილებიდან, რომ შემსწავლელი არ სწავლობს ყველაფერს, რასაც მას ასწავლიან. ზოგიერთი მეთოდის მეშვეობით შემსწავლელს ეძლევა შესაძლებლობა მხოლოდ გარკვეული რაოდენობის სიტყვები და წინადადებების ტიპები ისწავლოს. მაშინაც კი, როდესაც შემსწავლელს მდიდარ ენობრივ მასალას ვასწავლით, ეს არ ნიშნავს, რომ იგი მას დაუყოვნებლივ აითვისებს. შემსწავლელს აქვს უნარი აღმოაჩინოს გარკვეული წესები და კავშირები იმ ენაში, რომელსაც სწავლობს. ამ კუთხით, იგი იმაზე მეტს სწავლობს, რასაც მას ასწავლიან. შეცდომები მასწავლებელმა უნდა გაასწოროს ისე, რომ სწორი ვარიანტი კი არ წარმოადგინოს, არამედ მიახვედროს შემსწავლელი, რომ მან შეცდომა დაუშვა. ასეთი ტიპის შესწორება ყველაზე მეტად პრაქტიკულია, ვინაიდან საუბარი არ წყდება, ხოლო შემსწავლელი თავს უხერხულად არ გრძნობს. შესაბამისად, მას მოსწონს ასეთი ტიპის შესწორება და მასზე დადებითად რეაგირებს უცხო ენის სწავლება უფრო წარმატებით მიმდინარეობს, როდესაც სასწავლო პროცესში უცხო ენა გამოიყენება. ასეთი ტიპის სწავლებისას შემსწავლელს უვითარდება გააზრების უნარი, ლექსიკა და კომუნიკაციური კომპეტენცია. ამდენად, უცხო ენის შესწავლაზე მრავალი ფაქტორი ახდენს ზეგავლენას: შემსწავლელის პიროვნული თვისებები და გამოცდილება, სოციალური და კულტურული გარემო კლასში და მის გარეთ, დედა ენისა და სამიზნე ენის სტრუქტურა, ენის ბუნებრივ მატარებელთან კონტაქტი და სწავლის დროს შეცდომების გასწორება. მიუხედავად ამისა, თუ ზემოთ ჩამოთვლილ ფაქტორებს გავითვალისწინებთ, უკეთესად მოხდება სასწავლო პროცესის წარმართვა და, შესაბამისად, შედეგიც არ დააყოვნებს.

2.2. ზეპირმეტყველების განმავითარებელი სტრატეგიები საბაზო საფეხურზე:

მრავალი კვლევა თუ ძიება განხორციელდა იმის დასადგენად, თუ რომელი სტრატეგია უფრო მნიშვნელოვანია უცხო ენის შესწავლაში. ერთ-ერთი ასეთი მიმართულებაა წარმატებული და კარგი შემსწავლელის კვლევა, რასაც მოჰყვა ის მნიშვნელოვანი შედეგი, რომ ენის წარმატებული შემსწავლელი ყურადღებას აქცევს ფორმასაც და მნიშვნელობასაც. გარდა ამისა, იგი აქტიურია და იყენებს გარკვეულ სტრატეგიებს იმისათვის, რომ საკუთარი სასწავლო პროცესი ეფექტური გახადოს და მოქნილია ამ სტრატეგიების გამოყენებასა და ცვლაში. რაც მთავარია, იგი ძალისხმევას არ იშურებს იმისათვის, რომ შეძლოს კომუნიკაცია და წარმატებას მიაღწიოს. კვლევების შედეგად ასევე ისიც დადგინდა, რომ წარმატებული შემსწავლელი უფრო მეტ სტრატეგიას იყენებს, ვიდრე არა-წარმატებული. ის სტრატეგიები, რომლებიც მოიცავს ფორმალურ პრაქტიკას (მაგ. ახალი სიტყვის დამახსოვრებაზე ვარჯიში) ხელს უწყობს ლინგვისტური კომპეტენციის განვითარებას, ხოლო ის სტრატეგიები, რომლებიც მოიცავს ფუნქციურ პრაქტიკას (მაგ. უცხო ენის ბუნებრივ მატარებელთან საუბარი), ხელს უწყობს კომუნიკაციური უნარების განვითარებას. წარმატებული შემსწავლელი განვითარების სხვადასხვა ეტაპზე სხვადასხვა სტრატეგიას იყენებს. თუმცა, გაურკვეველია ის ფაქტორი, თუ როგორი დასკვნები უნდა

გამოვიტანოთ ამ კვლევიდან – სტრატეგიის გამოყენებას მოაქვს შედეგად სწავლა თუ სწავლა ზრდის შემსწავლელთა უნარს კიდევ უფრო მეტი სტრატეგიები გამოიყენონ.

ამდენად, უცხო ენის შემსწავლელის მიერ გამოყენებული სტრატეგიების კვლევა უაღრესად მნიშვნელოვანია, ვინაიდან თუ დადგინდება ის ფაქტი, თუ რომელი სტრატეგია ახდენს მასზე დადებით ზეგავლენას, შესაძლებელი გახდება მათთვის ამ სტრატეგიების სწავლება. მაგალითად, თუ ვასწავლით რაიმე კონკრეტულ გრამატიკულ სტრუქტურას, ისიც უნდა ვასწავლოთ, თუ როგორ დაიმახსოვროს და გაიგოს იგი. თუ მას რაიმე ლექსიკურ ერთეულს/ახალ სიტყვას ვასწავლით, საჭიროა დავებმართოთ ამ სიტყვების უკეთ გაგებაში შესაბამისი ენობრივი ამოცანების მეშვეობით. მაგალითად, რასთან მოახდინონ ამ სიტყვის გაიგივება, როდესაც მისი კონტექსტში გამოყენება ან გახსენება დასჭირდება. სტრატეგიის განვითარებაზე ორიენტირებული მიდგომა გვებმართება შემსწავლელი უფრო ავტონომიური და დამოუკიდებელი გავხადოთ უცხო ენის შესწავლის პროცესში. სწავლების ეფექტურობა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული თვითონ შემსწავლელთა უნარსა და დამოკიდებულებაზე. შესაბამისი სტრატეგიების განვითარებით კი ჩვენ მათ შესაძლებლობას ვაძლევთ უფრო წარმატებით გამოიყენონ დაგროვილი ცოდნა.

წარმოგიდგენთ რამდენიმე სტრატეგიას, რომელიც აქტიურად იქნა გამოყენებული მე-7 კლასში ზეპირმეტყველების სწავლების დროს.

ა.გამოკითხვა წყვილებში

გამოკითხვა წყვილებში საუკეთესო სტრატეგიაა სწავლების ნებისმიერ ეტაპზე, როცა მოსწავლეებს ათვისებული აქვთ საბაზო ლექსიკური და გრამატიკული ერთეულები. საწყისეტაპზე სასურველია მოსწავლეებს მიაწოდოთ გამზადებული კითხვები ჰენდაუტების სახითა და თუ იმ თემის ირგვლივ. მოსწავლეები იყოფიან 2 ჯგუფად, ინტერვიუვერი დარესპონდენტი, ისინი აწარმოებენ გამოკითხვას და აკეთებენ რეპორტს მოპოვებული ინფორმაციის წარდგენით. შესაძლებელია როლების გაცვლა. საშუალო საფეხურზე მოსწავლეებს აქვთ საკმარისი გამოცდილება თვითონ შეადგინონ კითხვები, რომლებსაც გამოიყენებენ ინტერვიუსთვის. კითხვები შეიძლება კავშირში იყოს როგორც ლექსიკურ-თემატურ ერთეულთან, ასევე გრამატიკულ მასალასთან. აქტივობის ბოლოს მოსწავლეები ავსებენ ურთიერთდაკვირვების და თვითშეფასების რუბრიკას, რომლის საშუალებით მათ შეეძლებათ შეაფასონ საკუთარი ცოდნა, გამოავლინონ ძლიერი და სუსტი მხარეები, რაც დაეხმარება მათ შემდგომი სწავლის დასაგეგმად.

ბ. მთხრობელობა

მთხრობელობა სალაპარაკო უნარის განვითარებასთან ერთად მოსწავლეებში სოციალური დაემოციური უნარების განვითარებასაც უწყობს ხელს, ზრდის მათ შემოქმედებითობას, ფანტაზიის უნარს, პროდუქტულობას და თავდაჯერებულობას. არსებობს მრავალფეროვანი სხვადასხვა აქტივობები, რომლებიც ხელს უწყობს მთხრობელობის გაუმჯობესებას. წარმოგიდგენთ ჩემ მიერ სასწავლო პროცესში გამოყენებულ ერთ-ერთ აქტივობას. მოსწავლეები ყოფს მოსწავლეებს 2-3 კაციან ჯგუფებად, აწვდის მათ თემებს. მაგ. ჩემიოცნების ქალაქი, მოსწავლეები ირჩევენ მათთვის სასურველ თემას და ამზადებენ ერთწუთიან საუბარს რუბრიკის მიხედვით (მოსწავლეებს წინას

წარ ურიგდებათ რუბრიკები, რომლებშიც მოცემულია ის კომპონენტები, რაც უნდა გაითვალისწინონ მათ საუბრის მომზადების პროცესში (კომპონენტები):

1. საუბრის ხანგრძლივობა,
2. შინაარსი-მრავალფეროვანი ლექსიკური ერთეულების გამოყენება
3. მკაფიო და გასაგები საუბარი
4. ექსტიკულაცია და ა.შ

თითოეული ჯგუფი ირჩევს საუკეთესო თემას და თემის ავტორს უწევს კლასის წინაშე საკუთარი თემის მოყოლა. პრეზენტატორი ფასდება რუბრიკის მიხედვით.

გ. როლური თამაში

როლური თამაში ერთერთი ყველაზე გავრცელებული და ნაყოფიერი მეთოდია ზეპირმეტყველებს ის განვითარებისთვის. იგი წარმოადგენს რომელიმე სიტუაციის მოდელირებას, სადაც მოსწავლეები ირჩევენ შესაფერის როლებს და მოქმედებენ ამ როლის შესატყვისად საკუთარი ინტერპრეტაციით. როლური თამაში ხელს უწყობს საკითხის ღრმად წვდომას, მასალის ხანგრძლივი დროით და მახსოვრებას, და ზრდის მათ ჩართულობასა დამოტივაციას. როლური თამაშისთვის მასწავლებელი უნდა დაეხმაროს მოსწავლეებს მოამზადებინოს სცენარი ან გეგმის მარტივი მონახაზი და დაეხმაროს როლების გადანაწილებაში. შესაძლებელია კითხვები წინასწარ დაიგეგმოს მოსწავლეებს ის ასაკის და შესაძლებლობების გათვალისწინების მიხედვით.

დ. დისკუსია-დებატი

დისკუსია ამ საუკუნის ყველაზე გავრცელებული საგანმანათლებლო მეთოდია, რომელიც ზეპირმეტყველების განვითარებასთან ერთად ხელს უწყობს მოსწავლეებში ფიქრის, კრიტიკული აზროვნების, პრობლემის გადაჭრის და კომუნიკაციური უნარჩვევების განვითარებას. მოსწავლეების როლი და ფუნქციები წინასწარ არის განსაზღვრული, შემუშავებულია წესები და მასწავლებელი ასრულებს ფასილიტატორის ფუნქციას. უნდა გავითვალისწინოთ, რომ სადისკუსიო თემის შერჩევა დიდ სიფრთხილეს დადაკვირვებას მოითხოვს, ვინაიდან სასაუბრო თემატიკა უნდა განისაზღვრობოდეს მოსწავლეების ინტერესების და შესაძლებლობების მიხედვით.

თავი III - მეთოდოლოგია

3.1 კვლევის გეგმა

კვლევის სანდოობის გაზრდის მიზნით მონაცემთა შეგროვების მეთოდებად გამოვიყენე გამოკითხვა, მონაცემების ანალიზი, ინტერვიუ, პირისპირ ინტერვიუ და კითხვარები.

გამოკითხვა ჩატარდა ინგლისური ენის კათედრის წევრებთან. მისი მიზანი იყო პრობლემის აქტუალურობის დადგენა და კათედრის წევრების დამოკიდებულების შესწავლა აღნიშნულ საკითხთან მიმართებაში, რაც დამეხმარა კვლევის სწორად წარმართვასა და კითხვარის მომზადებაში.

დავალებების მონაცემების ანალიზი - გამოვიყენე იმისთვის, რომ დამედგინა რა შედეგებს დადებდნენ მიცემულ სხვადასხვა ტიპის (წერით, გრამატიკულ, მოსმენის და ზეპირ) დავალებებში მოსწავლეები. მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალებების შედეგების ანალიზი დამეხმარა იმის დადგენაში, რეალურად ფლობენ თუ არა მოსწავლეები ყველა იმ უნარს, რაც სჭირდება ზეპირ მეტყველებას.

კითხვარები მოვამზადე როგორც ინგლისური ენის კათედრის წევრებისთვის (დანართი 1), ასევე VII კლასის მოსწავლეთათვის (დანართი 2). გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო კათედრის ოთხივე წევრმა, ხოლო მოსწავლეთათვის განკუთვნილი კითხვარი 10 ბავშვმა. მოსწავლეები დიდი პასუხისმგებლობით მოეკიდნენ კითხვარის შევსებას. შევსებულმა კითხვარებმა ზოგადი წარმოდგენა შემიქმნა პედაგოგების და მოსწავლეების დამოკიდებულების გასაგებად ამ პრობლემის ირგვლივ.

3.2 მონაცემების შეგროვება და ანალიზი

I. ინტერვენცია

1) წერითი დავალებების მიცემა

- ნაკლული მიკრო ტექსტის შევსება (ლექსიკური მუშაობა)
- გრამატიკული სავარჯიშოები
- ტექსტზე მუშაობა (ინფორმაციის დახარისხება)

2) მოსმენის დავალებები:

- სავარჯიშოები მოსმენის ყველა ეტაპზე

3) დიალოგის შედგენა ნაცნობ თემაზე (5-6 წინადადების შედგენა ნაცნობ თემაზე, წერილობით)

4) ზეპირი დიალოგი

- სიტუაციური ამოცანა (ზეპირად)

II. ინტერვენცია

კითხვარები

VII კლასის მოსწავლეებმა შეავსეს **ანკეტა**, რომელიც დამეხმარა გამერკვია მოსწავლეთა აზრი, თუ

- რატომ უჭირდათ უცხო ენაზე საუბარი და როგორ ფიქრობდნენ, რა იყო მისი გამომწვევი მიზეზი.

III.ინტერვენცია

პირისპირ ინტერვიუს საფუძველზე კითხვარის შევსება -ინგლისური ენის კათედრის წევრებთან ჩატარდა პირისპირ ინტერვიუ.ინტერვიუს მიზანი იყო გამერკვია თუ როგორ მიაჩნიათ კათედრის წევრებს ,რა არის კათედრაზე გამოვლენილი პრობლემის მიზეზი და მის საფუძველზე შევავსე წინასწარ მომზადებული კითხვარი.ამით შევძელი შემეგროვებინა ინფორმაცია:

- მოსწავლეთა რა ნაწილი ახერხებს თავისუფლად მეტყველებას უცხო ენაზე და როგორი ტიპის ზეპირ დავალებებს აძლევენ პედაგოგები მოსწავლეებს;
- როგორ ფიქრობენ,სავარაუდოდ,რა არის ამის გამომწვევი მიზეზები და როგორ ესახებათ ამ პრობლემის დაძლევის გზები;

შეგროვებულ მონაცემთა ანალიზი (დაკვირვების ცხრილი)

დავალების ტიპი	მოსწავლეთა რაოდენობა	1-4	5-7	8-10
1. წერიტი (ლექსიკურ-გრამატიკული)	10	2	5	3
2.დიალოგის შედგენა(წერილობით)	9	3	2	4
3.მოსმენის დავალებები	10	2	3	5
4.დიალოგი (ზეპირი)	10	2	4	4


1.სხვადასხვა ტიპის დავალებების მონაცემების შედეგების ანალიზისთვის შევიმუშავე დაკვირვების დღიური.მიღებული შედეგები ასეთია:წერით ლექსიკურ-გრამატიკული ტიპის დავალებებს 10 ბავშვიდან მხოლოდ ორმა ვერ გაართვა თავი; რაც შეეხება მოსმენის დავალებებს,აქ გამოიკვეთა მეორე პრობლემა ;მოსასმენი დავალებების სწორად შესრულება მხოლოდ 5-მა მოსწავლემ შეძლო. ბავშვებს არ გასჭირვებიათ წერილობით დიალოგის შედგენა(ნაცნობ თემაზე,ტექსტზე დაყრდნობით 5-6 წინადადების შედგენა) ;რაც შეეხება როლური თამაშის(სიტუაციური ამოცანის) პრეზენტირებას,მხოლოდ 2-მა წყვილმა(6) შეძლო სწორად;(ისინი შეფასდნენ როლური თამაშის შესაბამისი შეფასების რუბრიკით;)

მიღებული შედეგების გაანალიზების შემდეგ ჩავატარე მოსწავლეთა ანკეტირება.ჩემი მიზანი იყო დამედიგინა,რაში მდგომარეობდა მოსწავლეთა აზრით,ლაპარაკის პრობლემის მიზეზი.

2. მოსწავლეთა მიერ შევსებული კითხვარის ანალიზის შემდეგ გაირკვა,რომ გამოკითხულ მოსწავლეთაგან(კითხვარი შეავსო 9); 1 ბავშვი თვლის,რომ კარგად ფლობს ინგლისურ ენას; და ხანდახან არ აქვს მოტივაცია რომ მეტი ისწავლოს. აღმოჩნდა,რომ 3 მოსწავლეს შეუძლია საუბარი,მაგრამ აქვს შიში(შფოთვა)საუბრის დროს შეცდომების დაშვების და ამიტომ ვერ ბედავს

ლაპარაკს; 5-კი თვლის,რომ არ აქვს სათანადო გრამატიკულ- ლექსიკური ცოდნა რომ ისაუბროს, ამიტომ უჭირს საუბარი.(იხ.ნახ.2)-კითხვარის შედეგები:

ნახ.2.




3.კათედრაზე პირისპირ ინტერვიუს საფუძველზე შეგროვებული ინფორმაციის შედეგად გაირკვა,რომ აღნიშნული პრობლემა არსებობდა ინგლისურ სხვა კლასებშიც მიუხედავად იმისა,რომ ენა ისწავლება დაწყებითი საფეხურიდან და მოსწავლეები უფრო მოტივირებულნი იყვნენ. .

4.პირისპირ ინტერვიუს შედეგად მიღებული ინფორმაციის შემდეგ შევიმუშავე კითხვარები.(პედაგოგებისთვის) მიღებული პასუხები ასეთია.პედაგოგები აღნიშნავენ,რომ მოსწავლეები გაკვეთილის საწყის ფაზაში იწყებენ უცხო ენაზე კომუნიკაციას,მაგრამ პირველივე შეფერხებისას ისევ მშობლიურ ენაზე აგრძელებენ(მიმართვას,სურვილების გამოხატვას,მასწავლებლის ინსტრუქციებზე პასუხების გაცემას).გაირკვასიც,რომპედაგოგები უპირატესობასანიჭებენ წერილობით, ინდივიდუალურ მუშაობას,ეს იქნება ტექსტზე მუშაობა,სავარჯიშოებზე მუშაობა,თუ ზეპირი დავალებები.რაც შეეხება სხვა ტიპის ზეპირ დავალებებს,როგორცაა როლური თამაში,რეპორტაჟი,დისკუსია/დებატები,მალიან მცირე დროს უთმობენ.ამას ხსნიან იმ ფაქტორით,რომ,როგორც კი იწყებენ ბავშვები საუბარს,მალევე გადადიან მშობლიურ ენაზე.ამიტომ ისინი აზრს ვერ ხედავენ უცხო ენაზე დისკუსიის წარმართვის.გაირკვა ისიც,რომ ისინი თემის შესაბამის ლექსიკულ-გრამატიკულ ერთეულებს არ აწვდიან წინასწარ; რაც შეეხება მოსმენის დავალებებს,ისინი მოსმენის დავალებების მიცემისას იშვიათად იყენებენ საინფორმაციო ტექნოლოგიებს; ძირითადად თვითონ უკითხავენ მოსმენის დავალებებს და ზოგჯერ დისკუსე აუდიო- ჩანაწერსაც იყენებენ.კითხვაზე -ითვალისწინებდნენ თუ არა

მასწავლებლები სასაუბრო თემის შერჩევისას ყოფით,რეალურ სიტუაციებსა და მოსწავლეთა ინტერესებს -პასუხი ცალსახა იყო: ზოგჯერ.(ნახ.3.)-კითხვარის შედეგები:

რა სიხშირით აძლევდნენ მასწავლებლები ზეპირმეტყველების განსავითარებელ აქტივობებს მოსწავლეებს:



3.3 კვლევის გეგმა და ვადები

აქტივობა	თებერვალი	მარტი	აპრილი	მაისი	ივნისი
საკვლევი პრობლემის შერჩევა	✓				
ინტერვიუ უცხოური ენების კათედრის წევრებთან დაპრობლემის იდენტიფიცირება	✓				
კვლევის სავარაუდო გეგმის შემუშავება	✓				
სხვადასხვა ტიპის დავალებების მონაცემთა ანალიზი		✓			
კითხვარის შედგენა, დამუშავება		✓			
გამოკითხვა		✓			

კითხვარი კათედრის წევრებისთვის		✓			
გამოკითხვა		✓			
მიღებული შედეგების ანალიზი			✓		
შეხვედრა კათედრის წევრებთან.(კვლევის მიგნებების განხილვა კათედრაზე)			✓		
სავარაუდო ინტერვენციების დაგეგმვა			✓		
I.ინტერვენციის განხორციელება			✓		
II.ინტერვენციის განხორციელება			✓		
ინტერვენციების შედეგების ანალიზი				✓	
პრეზენტაცია კათედრაზე; შედეგების გაცნობა				✓	
ცვლილების შეფასება				✓	

თავი IV - კვლევის შედეგები:

4.1 დავალებების შედეგების ანალიზი

მონაცემთა ანალიზისას გამოიკვეთა რამდენიმე მნიშვნელოვანი შედეგი:

მოსწავლეებს არა აქვთ საკმარისად გამომუშავებული მოსმენის უნარ-ჩვევები, რაც შესაბამისად აისახება მათი მეტყველების უნარზეც, რადგანაც მოსმენა-გაგება პირდაპირ კავშირშია ლაპარაკთან.

- საკლასო ოთახში, სადაც იშვიათად მყარდება თავისუფალი კომუნიკაცია მასწავლებელსა და მოსწავლეს და მოსწავლე-მოსწავლეს შორის;
- მოსწავლეთა ნაწილი საუბრისას განიცდის შფოთვის, ამიტომ შეცდომების დაშვების შიშით არ საუბრობს; ისინი არ არიან თავდაჯერებულები და მოტივირებულები.
- იშვიათად მიმართავენ ისეთ აქტივობებს, როგორცაა დისკუსია, რეპორტაჟი...

4.2 კითხვარების შედეგების ანალიზი

- ✓ უპირატესობას ანიჭებენ ინდივიდუალურ წერილობით მუშაობის ფორმებს ;
- ✓ მოსმენის დავალებების მიცემისას იშვიათად იყენებენ აუდიო-ვიდეო საშუალებებს მოსმენის უნარ-ჩვევის განსავითარებლად.

- ✓ თითქმის არ მიმდინარეობს გაკვეთილზე თავისუფალი კომუნიკაცია (სურვილების გამოხატვა, კრიტიკა, განმარტება) უცხო ენაზე;
- ✓ მცირე დროს უთმობენ გაკვეთილზე ისეთ სამეტყველო აქტივობებს, როგორცაა როლური თამაშები, სიმულაციური სიტუაციები, დისკუსიები/დებატები;
- ✓ დისკუსიების/დებატების გასამარტივებლად თემის შესაბამისად არ აწვდიან მოსწავლეებს წინასწარ საკვანძო სიტყვებს, ფრაზებს და ენობრივ კლიშეებს („საშენ ერთეულებს“), რის გარეშეც პრაქტიკულად წარმოუდგენელია დისკუსიის წარმართვა.

რეკომენდაციები კათედრის წევრებს:

უცხოური ენების კათედრაზე მოეწყო სამუშაო შეხვედრა, სადაც კათედრის წევრებს გავაცანი კვლევის მიგნებები და ჩემს მიერ შემუშავებული რეკომენდაციები:

- თანამშრომლობის გაღრმავების საჭიროება კათედრის წევრებს შორის;
- საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებით (მოსმენა/ყურება) გაკვეთილების დაგეგმვისა და მისი ჩატარების აუცილებლობა;
- მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებით კათედრაზე ერთობლივი გაკვეთილის დაგეგმვა და ჩატარება ზეპირმეტყველების სხვადასხვა განსავითარებელი აქტივობების გამოყენებით. (როლური თამაში, მთხრობელობა, დისკუსია/დებატები...)
- სწავლების სოციალური ფორმების (ერთობლივი პროექტი, კედლის გაზეთი) ხშირი გამოყენების აუცილებლობა გაკვეთილზე;
- გაკვეთილზე უცხოურ ენაზე თავისუფალი კომუნიკაციის “რეალური” კომუნიკაციის დამყარება.
- ზეპირი დავალების შეფასების რუბრიკის გაცნობა მოსწავლეებისთვის.

თავი V. - ინტერვენციები და მათი შედეგები

კვლევის პროცესში მიღებული ინფორმაციისა და მონაცემების ანალიზის საფუძველზე შევიმუშავე და დავგეგმე შესაძლო ინტერვენციები. ამ პრობლემების აღმოსაფხვრელად გადაიდგა გარკვეული ნაბიჯები, კერძოდ,

უცხოური ენების კათედრაზე მოეწყო სამუშაო შეხვედრა, სადაც კათედრის წევრებს გავაცანი კვლევის მიგნებები და ჩემს მიერ შემუშავებული რეკომენდაციები:

5.1 ინტერვენცია

I ინტერვენცია

კათედრაზე გაკვეთილების დაგეგმვა და ჩატარება აუდიოების მიმართულებით საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებით; გაკვეთილზე დაკვირვება;

II ინტერვენცია

უცხოური ენების კათედრაზე გაკვეთილის ერთობლივი დაგეგმვა და ჩატარება წინასამეტყველო სავარჯიშოებისა და სამეტყველო სხვადასხვა აქტივობების გამოყენებით;

III ინტერვენცია

თანამშრომლობის გაღრმავება კათედრის წევრებს შორის;

I ინტერვეციის განხორციელება

კათედრაზე გაკვეთილების დაგეგმვა და ჩატარება აუდირების მიმართულებით საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებით ; გაკვეთილზე დაკვირვება;

კათედრის წევრების შეხვედრის მიზანი იყო ჩემი კვლევის შედეგად გამოვლენილი მოსწავლეების ერთ-ერთი საჭიროება-მოსმენის უნარ-ჩვევის გამომუშავებაზე ზრუნვა,რადგან გაგება-მოსმენა პირდაპირ კავშირშია ლაპარაკთან.ამ ინტერვენციის განხორციელებაში დამეხმარა რუსულ ენაში ტრენინგზე გავლილი მეთოდური კურსი ამ მიმართულებით: („ფილმის/სიმღერის,როგორც ავთენტური მასალის გამოყენება გაკვეთილზე „)ასეთი ტიპის გაკვეთილის ჩატარების გამოცდილების გაზიარების მიზნით კოლეგებს გავაცანი მოსმენის დავალებების ყველა ფაზა და ეტაპი,დავალებების ტიპების შესაბამისობა მათთან.შეხვედრა ნაყოფიერი აღმოჩნდა,რადგან პედაგოგებმა ერთობლივად დაგეგმეს გაკვეთილი.კათედრაზე გადაწყდა,რომ ყველა პედაგოგი ჩაატარებდა ამ მიმართულებით რამოდენიმე გაკვეთილს.გადაწყდა ჩატარებულ გაკვეთილებზე განხორციელებულიყო დაკვირვება. გაკვეთილებმა გაზარდა მოსწავლეთა მოტივაცია;გაკვეთილების აქტიური გამოყენება კათედრის წევრების მიერ დაეხმარება სამომავლოდ მოსწავლეს ლაპარაკის პრობლემის დამლევაში,რადგან მოსმენა- გაგება პირდაპირ კავშირშია ალაპარაკებასთან; სამწუხაროდ,რამდენად აისახება ეს ცვლილება მოსწავლეთა შედეგებზე,დროის უქონლობის გამო მასზე დაკვირვება ვერ შევძელი.

II ინტერვეციის განხორციელება.

უცხოური ენების კათედრაზე გაკვეთილის ერთობლივი დაგეგმვა და ჩატარება წინასამეტყველო სავარჯიშოებისა და სამეტყველო სხვადასხვა

აქტივობების გამოყენებით;გაკვეთილზე დაკვირვება;

კათედრის სხდომაზე ჩვენი შეხვედრის მიზანი იყო კათედრის წევრებისთვის ჩემი კვლევის კიდევ ერთი მიგნების შესახებ თეორიული გამოცდილების გაზიარება და პრაქტიკაში მისი დანერგვა.კერძოდ,მოსწავლეთა სამეტყველო უნარ- ჩვევის გაუმჯობესების თვალსაზრისით, პრაქტიკულად ისეთი აქტივობებით გაკვეთილების დაგეგმვა(როლური თამაში,დისკუსია/დებატები),რომელიც ხელს შეუწყობს მოსწავლის საკომუნიკაციო უნარის გაუმჯობესებას;

კათედრაზე ჩვენ ერთობლივად დავგეგმეთ და ჩავატარეთ გაკვეთილები ამ მიმართულებით,ყველა სამეტყველო სირთულის გათვალისწინებით.

III ინტერვეციის განხორციელება

თანამშრომლობის გაღრმავება კათედრის წევრებს შორის;

ამ ინტერვენციის მიზანი იყო ის,რომ კვლევის მიმდინარეობისას გამოიკვეთა,რომ მასწავლებლებს შორის არ ხდება ინფორმაციის ხშირი გაცვლა.ისინი ინდივიდუალურად ცდილობდნენ ამ პრობლემის გადაჭრას სასწავლო პროცესში.

კათედრის წევრების მიერ ერთობლივად დაგეგმილმა გაკვეთილებმა, აგრეთვე მოსმენის დავალებების დაგეგმვისა და ჩატარების შემდეგ ურთიერთდასწრებებმა გაკვეთილებზე და გამოცდილების გაზიარებამ გაზარდა ურთიერთთანამშრომლობა კოლეგებს შორის; მათ უკეთ გაიაზრეს წამოჭრილი პრობლემის სირთულე და თანამშრომლობის როლი ამ სირთულეების დაძლევაში.

5.2 ინტერვენციის შედეგები

პირველი ინტერვენციის ფარგლებში უცხოური ენების კათედრას უნდა ემუშავა ახალი (ერთობლივად დაგეგმილი) საგაკვეთილო გეგმით. კათედრა შედეგადად ხუთი პედაგოგისგან, თუმცა მათგან მხოლოდ სამმა მოახერხა ინტერვენციაში ჩართვა.

ინტერვენციის ფარგლებში მასწავლებლებმა საგაკვეთილო გეგმით ორჯერ იხელმძღვანელეს. შეხვედრის მიზანი ინტერვენციის შეფასება იყო, რადგანაც პედაგოგს, რომელსაც თეორიული ცოდნა აქვს, შეუძლია მაგრამ ეს არ აისახოს გაკვეთილის პროცესზე. ამდენად, გადავწყვიტე გაკვეთილზე დაკვირვება.

პირველი ინტერვენცია გეგმის მიხედვით წარიმართა: ინგლისურ ენის სამი პედაგოგი რამდენჯერმე შეიკრიბა. პირველ შეხვედრაზე მასწავლებლები საერთო აქტივობაზე შეთანხმდნენ, რომელსაც სამივე პედაგოგი ჩაატარებდა რომელიმე კლასში. კათედრაზე გადაწყდა: საერთო აქტივობად პედაგოგებმა დისკუსიის სწავლების მეთოდიკა შეარჩიეს. მათ წინა გაკვეთილზე მოსწავლეებთან ერთად შეარჩიეს სადისკუსიო თემა, ყოფით რეალურ სიტუაციაზე; მათ გულდასმით მიმოიხილეს წინასამეტყველო სავარჯიშოები, რომლებიც დისკუსიაზე მუშაობისას შეიძლებოდა შესრულებულიყო; დაიგეგმა, რომ რამოდენიმე წუთი დაეთმოზოდა ფილმის ჩვენებას, სადაც გამოჩენილი ადამიანი აკეთებდა პრეზენტაციას შეცდომებით, მაგრამ ამის გამო მას არ შეუწყვეტია გამოსვლა. ეს მას შემდეგ, რაც მასწავლებლებმა მე-7 და მე-8 კლასებში ჩაატარეს გაკვეთილი, კვლავ შეიკრიბნენ და ჩატარებულ აქტივობაზე ისაუბრეს. მათ აღნიშნეს, რომ გაკვეთილმა კარგად ჩაიარა. მათი შეფასებით, მოსწავლეებს აქტივობასთან დაკავშირებით არანაირი პრობლემა არ შეჰქმნიათ, პირიქით, სადისკუსიო თემის ირგვლივ შესაძლო ლექსიკური ერთეულების სირთულის მოხსნის შემდეგ და დამხმარე ფრაზების, გამოთქმების, ენობრივი კლიშეების დახმარებით, ბავშვებს გაუმარტივდათ დისკუსიის მომზადება და წარმართვა. ყველა ჯგუფს წინასწარ დაურიგდა დისკუსიის შეფასების რუბრიკა, მოსწავლეებმა წინასწარ იცოდნენ რა კრიტერიუმებით შეფასდებოდნენ.

II ინტერვენციის შედეგები

კათედრაზე გადაწყდა, რომ ყველა პედაგოგი ჩაატარებდა საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებით მოსმენის მიმართულებით რამოდენიმე გაკვეთილს. ამ მიმართულებითაც მხოლოდ სამმა მასწავლებელმა გამოთქვა გაკვეთილის ჩატარების სურვილი. მათ იცოდნენ რომ გაკვეთილებზე უნდა განხორციელებულიყო დაკვირვება. მათ 7-8 კლასებში ჩაატარეს გაკვეთილები. პირველი გაკვეთილი-ფილმის გამოყენებით დაგეგმეს და ჩაატარეს, ხოლო მეორე-სიმღერის/კლიპის გამოყენებით. კათედრაზე მათი უკუკავშირი ასეთი იყო: მოსწავლეებს

პირველ-ორ გაკვეთილზე გაუჭირდათ მოსმენის დავალებებზე მუშაობა;მესამე გაკვეთილზე გაცილებით უკეთესი შედეგი მიიღეს პედაგოგებმა.და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია ძალიან მაღალი იყო მოსწავლეთა მოტივაცია.ასეთი გაკვეთილების აქტიური გამოყენება კათედრის წევრების მიერ დაეხმარება სამომავლოდ მოსწავლეს ლაპარაკის პრობლემის დაძლევაში,რადგან მოსმენა- გაგება პირდაპირ კავშირშია ალაპარაკებასთან;

გაკვეთილებმა გაზარდა მოსწავლეთა მოტივაცია;გაკვეთილების აქტიური გამოყენება კათედრის წევრების მიერ დაეხმარება სამომავლოდ მოსწავლეს ლაპარაკის პრობლემის დაძლევაში,რადგან მოსმენა- გაგება პირდაპირ კავშირშია ალაპარაკებასთან; სამწუხაროდ ,რამდენად აისახება ეს ცვლილება მოსწავლეთა შედეგებზე,დროის უქონლობის გამო მასზე დაკვირვება ვერ შევძელი.

III ინტერვეციის შედეგები

მესამე შეხვედრაზე გადაწყდა, რომ წინა აქტივობებისგან განსხვავებით, ამჯერად არჩევანს ურთიერთთანამშრომლობაზე შევაჩერებთ. რამდენიმე დღის შემდეგ კვლავ შევიკრიბეთ და პედაგოგებმა ერთმანეთს გამოცდილება კიდევ ერთხელ გაუზიარეს. შეხვედრას როგორც აღნიშნეს, მოსწავლეებს ძალიან მოეწონათ განსხვავებული სტილის აქტივობები, შესაბამისად, ჩართულობაც მაღალი იყო.

მესამე ინტერვენციის მიზანიც სწორედ ეს იყო:

ვინაიდან მასწავლებლებს შორის გამოცდილების გაზიარების პრაქტიკის ნაკლებობაა,ჩემი აზრით ყველასთვის ნაცნობი აქტივობების შესახებ საუბრებმა და გაკვეთილების განხილვებმა გაზარდა მსჯელობის პროცესში თითოეული მათგანის ჩართულობა და რაც მთავარია შედგა ურთიერთთანამშრომლობა.

5.3 ინტერვენციების შეფასება

ინტერვენციების დასრულების შემდეგ კათედრის წევრები ბოლოჯერ შეხვდით. შეხვედრის მიზანი მათგან უკუკავშირის მიღება.პედაგოგებს ვთხოვე გამოეთქვათ მოსაზრება ჩატარებული გაკვეთილების შესახებ. მასწავლებლების აზრით:

- გაღრმავდა თანამშრომლობა კათედრის წევრებს შორის; კვლევის პროცესშიმასწავლებლებს შორის გამოცდილების გაზიარების პრაქტიკის ნაკლებობა გამოვლინდა,მათი აზრით გაკვეთილების ერთობლივმა განხილვებმა გაზარდა მსჯელობის პროცესში თითოეული მათგანის ჩართულობა და რაც მთავარია შედგა ურთიერთთანამშრომლობა,რაც სამომავლოდ დადებითად აისახება სწავლა/სწავლების პროცესზე.
- კვლევის დროს ჩემს მიერ გამოვლენილი საჭიროების შედეგად დაიგეგმა და ჩატარდა საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებით პედაგოგებისთვის ნათელი გახდა მოსმენის დავალებების მეთოდოლოგია;მასწავლებლებმა შეძლეს გაკვეთილების ჩატარება;გადაიდგა კონკრეტული ნაბიჯები;შესამჩნევი გახდა პროგრესი ამ მიმართულებით. მოსწავლეებს გამოუმუშავდებათ მოსმენის უნარ-ჩვევა,რადგან მოსმენა- გაგება პირდაპირ კავშირშია ალაპარაკებასთან; ასე მნიშვნელოვანია მოსწავლეთათვის.

დასკვნა

რაც შეეხება ჩემი კვლევის მიზანს, პედაგოგები გაეცნენ მეთოდებსა და დაეუფლნენ ზეპირმეტყველების იმ სტრატეგიებს, რომლებიც დაეხმარებათ მათ მოსწავლეთა ინტერესებზე მორგებული კომუნიკაციური გაკვეთილის წარმართვაში. ისინი მიხვდნენ, რომ შესაძლებელია ნაბიჯ-ნაბიჯ ეგრედ წოდებულ “საშენ ერთეულებზე” დაყრდნობით, ანუ ენობრივ კლიშეების, ფრაზების, წინასწარ მიწოდებით შესაძლებელია ისეთი რთული აქტივობების სწავლება, როგორცაა დისკუსია, დებატი და ა.შ.

ახალი მეთოდებით ჩატარებულმა გაკვეთილებმა გაზარდა მოსწავლეთა მოტივაცია; ასეთი გაკვეთილების აქტიური გამოყენება კათედრის წევრების მიერ დაეხმარება მოსწავლეებს (მოუხსნის შეცდომების დაშვების დისკომფორტს) სამომავლოდ მოსწავლეს დაეხმარება ლაპარაკის პრობლემის დამლევაში.

დანართი 1.- კითხვარი VII კლასის მოსწავლეთათვის

1. როგორი ტიპის დავალება არის თქვენთვის კომფორტული ?

- ზეპირი
- წერიტი
- მოსმენის

2. გიჭირთ თუ არა საუბარი ინგლისურ ენაზე?

- კი რატომ?-----

- არა რატომ? -----

3. თქვენი აზრით, რა გიშლით ხელს ,რომ თავისუფლად ისაუბროთ ინგლისურ ენაზე?

დანართი 2 . კითხვარი უცხოური ენების კათედრის წევრებისათვის.

1. როგორი ტიპის დავალებების შესრულება მოსწონთ ბავშვებს?

- ზეპირი
- წერიტი
- მოსმენის

2. უჭირთ თუ არა მოსწავლეებს ზეპირი დავალებების შესრულება ?

- კი
- არა

3. მოსწავლეთა რა ნაწილი ახერხებს ლექსიკური და გრამატიკული ცოდნის გამოყენებას ზეპირი მეტყველების დროს?

1. მოსწავლეთა უმრავლესობა 2. მცირე ნაწილი 3. მოსწავლეთა ნახევარი

4. რა სიხშირით აძლევთ მოსწავლეებს ზეპირმეტყველების განსავითარებელ აქტივობებს?

1. ხშირად 2. ზოგჯერ 3. არასდროს

5. რა არის ამის გამოწვევი მიზეზი?

დანართი 3.

✓ კვლევის/ დაკვირვების დღიური

#	გვარი, სახელი	ლექსიკურ-გრამატიკული სავარჯიშოები		
		1-4	5-7	8-10
1.	ბეჟაშვილი ნიკოლოზ			
2.	ელიზბარაშვილი გოჩა			
3.	მაცაბერიძე ლუკა			
4.	ნინიძე ნიცა			
5.	სვინტრამე ლიზი			
6.	ჩიგოგიძე მარიამ			
7.	ცოტნიაშვილი მიხეილ			
8.	ქარდავა ლუკა			
9.	ხახვიაშვილი მარიამ			
10.	ხუბუა ნატალი			

დანართი 4.

✓ კვლევის/ დაკვირვების დღიური

#	გვარი, სახელი	დიალოგის შედგენა (წერილობით)		
		1-4	5-7	8-10
1.	ბეჟაშვილი ნიკოლოზ			
2.	ელიზბარაშვილი გოჩა			
3.	მაცაბერიძე ლუკა			
4.	ნინიძე ნიცა			

5.	სვინტრამე ლიზი			
6.	ჩიგოგიძე მარიამ			
7.	ცოტნიაშვილი მიხეილ			
8.	ქარდავა ლუკა			
9.	ხახვიაშვილი მარიამ			
10.	ხუბუა ნატალი			

დანართი 5.

✓ კვლევის/ დაკვირვების დღიური

#	გვარი,სახელი	მიკროტექსტის შევსება (მოსმენის დავალება)		
		1-4	5-7	8-10
1.	ბეჟაშვილი ნიკოლოზ			
2.	ელიზბარაშვილი გოჩა			
3.	მაცაბერიძე ლუკა			
4.	ნინიძე ნიცა			
5.	სვინტრამე ლიზი			
6.	ჩიგოგიძე მარიამ			
7.	ცოტნიაშვილი მიხეილ			
8.	ქარდავა ლუკა			
9.	ხახვიაშვილი მარიამ			
10.	ხუბუა ნატალი			

დანართი 6.

#	გვარი,სახელი	ზეპირი დავალება		
		1-4	5-7	8-10
1.	ბეჟაშვილი ნიკოლოზ			
2.	ელიზბარაშვილი გოჩა			
3.	მაცაბერიძე ლუკა			
4.	ნინიძე ნიცა			
5.	სვინტრამე ლიზი			
6.	ჩიგოგიძე მარიამ			

7.	ცოტნიაშვილი მიხეილ			
8.	ქარდავა ლუკა			
9.	ხახვიაშვილი მარიამ			
10.	ხუბუა ნატალი			

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ეროვნული სასწავლო გეგმების პორტალი, -„დისკუსია ნაცნობ თემაზე“;
2. www.mastsavlebeli.ge-„ზეპირმეტყველების განმავითარებელი სტრატეგიების გამოყენება საბაზო/საშუალო საფეხურზე“;
3. www.mastsavlebeli.ge-ე.შავერდაშვილი,„თანამედროვე უცხო ენის გაკვეთილი“,2013;
4. ე.ძამიაშვილი“მოსასმენი მასალის მიწოდების და განმტკიცების გზები“,თელავი,2014;

პედაგოგიური პრაქტიკის კვლევის რეფლექსია

ქალაქ თბილისის იტალიურ კერძო სკოლაში განვახორციელე პრაქტიკული კვლევა.

ჩემი კვლევის მიზანი იყო VII კლასში ინგლისურ ენაში ზეპირმეტყველების განმტკიცების ისეთი გზების, ხერხებისა და სტრატეგიების ძიება, რომლებიც ეფექტურსა და საინტერესოს გახდიდა ინგლისურ ენაზე ზეპირმეტყველების სწავლებას და დაეხმარებოდა მოსწავლეს, ეფექტურად გამოეყენებინა ენა კომუნიკაციისათვის. კვლევაში გათვალისწინებული იყო ორი ასპექტი:

1. ფსიქოლოგიური ასპექტი – ზეპირმეტყველებასთან დაკავშირებული თავისებურებების გათვალისწინება მოსწავლეების სწავლების პროცესში; სწავლის მოტივაციის გაზრდა;

2. მეთოდური ასპექტი – ინგლისურ ენაზე ზეპირმეტყველების სწავლების ეფექტური მეთოდებისა და სტრატეგიების შერჩევა.

კვლევაში გამოყენებული იყო როგორც თვისებრივი, ისე რაოდენობრივი მეთოდები. პრაქტიკული კვლევის განმავლობაში დაიგეგმა და განხორციელდა სამივე ინტერვენცია;

კვლევის განმავლობაში მიღებულ შედეგებზე და მიგნებებზე დაყრდნობით შემუშავებულ იქნა ჩემს მიერ რეკომენდაციები, რომლებიც უცხოური ენების კათედრის წევრებს გავაცანი კათედრის სხდომაზე, რომელიც შედგა პედაგოგიური პრაქტიკის გაზიარების მიზნით. კათედრის წევრებს დავურიგე დაბეჭდილი რეკომენდაციები და ვთხოვე გაეთვალისწინებინათ ისინი საგაკვეთილო პროცესში, რომელიც მისაღები აღმოჩნდა კათედრის წევრებისთვის. ჩემს მიერ გაცემული რეკომენდაციები დაეხმარათ მათ მოსწავლეთა ინტერესებზე მორგებული კომუნიკაციური გაკვეთილის წარმართვაში, რომელმაც ხელი შეუწყო მოსწავლეთა ზეპირი მეტყველების უნარის განვითარებას, რამაც შესაბამისად გაზარდა მოსწავლეთა მოტივაცია; ასევე უცხოური ენის კათედრის წევრებს დაეხმარა ანალოგიური სირთულეების დაძლევაში, რამაც რეალურად გააუმჯობესა სწავლა - სწავლების ხარისხი.